პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 31 ოქტომბერი, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 44 (203) ფასი 30 კაპ.

მტერი უკუქცეული იქნება

დღეს—დიდი ოქტომბრის რევოლუციის 24 წლისთავის წინადღეს ყოველი საბჭოთა პატრიოტის გული და გონება ერთს ფიქრს, ერთს აზრს, ერთს ნებისყოფას შეუპყრია — ყველაფერი, რაც გვაბადია, მოვახმაროთ ჩვენი სამშობლოს გადარჩენის საქმეს, ჩვენს მამაც არმიას, მის მედგარ ბრძოლას, მის შეუპოვარ წინააღმდეგობას, რომელიც აჩერებს ათეული ათასი ცეცხლისმფრქვევი ტანკის შემოტევას მოსკოვის, ლენინგრადის, ყირიმის და როსტოვის მისასვლელებთან.

ჭეშმარიტად გასაოცარი და საარაკოა ის, რასაც სჩადის ჩვენი სახელოვანი წითელი ჯარი. ზოგს ჯერ კიდევ მკაფიო წარმოდგენა არ აქვს იმაზე, თუ რა ძალას უმკლავდება მუშურ-გლეხური არმიის გმირობა. ის, რაც ათეული წლების მანძილზე შეუქმნია დასავლეთ ევროპის ინდუსტრიას, მის უძლიერეს სამხედრო მრეწველობას — კრუპის, შკოდის და კრეზოს გიგანტ ქარხნებს, — ყველაფერი ეს ფოლადისა და ცეცხლის ნიაღვრად მოედინება საბჭოთა ველებზე და წალეკვას და შთანთქმას უქადის ყველაფერს იმას, რაც 24 წლის შეუსვენებელი შრომით და თავდაუზოგველი ბრძოლით გვიშენებია ჩვენ—საბჭოთა ქვეყნის შვილებს.

ჩვენი ჯარის სიმტკიცე და საბჭოთა ხალხის მოუდრეკელი ნებისყოფა კლდოვან ჯებირად გადაეღობა ფოლადში ჩამსხდარ მოსისხლე მტერს და საგრძნობლად შეანელა მისი წინსვლა. ეს კი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ ცოფიანი ჰიტლერის განზრახვა—ოქტომბრის დამდეგს დაწყებული ახალი გაძლიერებული იერიშებით ერთ თვეში შეჭრილიყო მოსკოვსა და ლენინგრადში, ისეთივე მარცხით დამთავრდება, როგორითაც დასრულდა ელვისებური ომის ჰიტლერული გეგმები.

შეიარაღების უპირატესობამ მტერს ვერ მისცა ის გადამწყვეტი შედეგი, რასაც იგი ამ ერთი თვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით მოელოდა. ჩვენი ჯარის მაღალმა იდეურ-მორალურმა სიმტკიცემ გაუძლო მოზღვავებულ ფოლადს.

ეს რკინისებური გამკლავება მშობლიური წითელი არმიისა ამხნევებს და გამარჯვების რწმენას უძლიერებს ყველა საბჭოთა პატრიოტს, რადგან მტრის ძალთა დაძაბულობა ამჟამად უკიდურეს წერტილს აღწევს, ზურგს უკან მტერს სამობილიზაციოთ არაფერი დარჩენია. ამიტომ მისი შეჩერება მოსკოვის და ლენინგრადის ზღუდეებთან იქნება მტრის უკან დახევის და დამარცხების დასაწყისი.

ღრმა სულიერი მღელვარებით შეჰყურებს ჩვენი ხალხის გოლიათური ბრძოლის ყოველ მომენტს მთელი მშრომელი კაცობრიობა, მთელი პროგრესიული მსოფლიო. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის აშკარაა, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე სწყდება კაცობრიობის მომავალი ბედ-იღბალი, სწყდება საკითხი იმის შესახებ, დაუბრუნდება კაცობრიობა საშუალო საუკუნეების ბნელეთს, თუ ისევ განაგრძობს წინსვლას მატერიალური და სულიერი სრულყოფისაკენ, სოციალური სამართლიანობისა და ჰუმანიურობისაკენ.

სამხედრო მოქმედებათა მასშტაბით და თავისი დანიშნულებითაც საბჭოთა ხალხის დღევანდელი სამამულო ომი არის გრანდიოზული ომი, რომლის მზგავსი არ მოსწრებია ჩვენს პლანეტას, და რომელსაც უნდა მოჰყვეს კაცობრიობის ან ბედნიერი მერმისი ან კატასტროფა.

სამშობლოს და კაცობრიობის გადასარჩენად ასეთ ომში მონაწილეობა არის უდიდესი ბედნიერება.

— ამჟამად, მეორე სამამულო ომის დღეებში,—სწერს ცნობილი აკადემიკოსი ქალი, ფიზიოლოგი ლ. ს. შტერნი, — „მე თავს ბედნიერად ვგრძნობ იმის გამო, რომ ჩემი ცხოვრება ასეთ დიად დროს დაემთხვა. ასეთ ომში მონაწილეობის მიღება ბედნიერებაა. ეს ორი სიტყვა ერთი მეორის გვერდით პარადოქსად გაისმის. ომი და ბედნიერება ერთი მეორისადმი პოლიარულად დაპირისპირებული ცნებებია. მიუხედავად ამისა, ეს მე არ წამომცდენია, შემთხვევით არ მითქვამს. დე გამიგონ ჩემმა ახალგაზრდა მეგობრებმა: ბედნიერებაა მონაწილეობა მიიღო ომში, რომელიც იხსნის კაცობრიობას ფაშიზმის წყვდიადისაგან“.

წმინდა და სამართლიანი სამამულო ომის დანიშნულების ასეთმა შეგნებამ უნდა გააასკეცოს ჩვენი საბრძოლო ენერგია, ჩვენი გამძლეობის ძალა და სიმტკიცის უნარი.

მტერი შეჩერებული და ძლეული უნდა იქნას,—ამის გარეშე არ არის ჩვენთვის ცხოვრება, არ არის ბედნიერება.

არ დავზოგოთ სიცოცხლე იმისათვის, რომ დიდი ოქტომბრის 24 წლისთავი გადავაქციოთ 1917 წლის 7 ნოემბრის ბადალ თარიღად — ფაშისტური ბნელეთის გაცამტვერების და დასამარების დაწყების დიდ ისტორიულ თარიღად.

იშვიათი შემთხვევა

პ. ი. სიმონოვი*)

სამხედრო-საზღვაო ავიაციის შტურმანის, ლეიტენანტ სოკოლოვსკის პატარა ჩემოდანში პირად ნივთებს შორის იდვა პატარა ამანათი—ჩვენი შესანიშნავი ქალების, საბჭოთა პატრიოტ-ქალების საჩუქარი. ამ საჩუქარში ყველაფერი იყო: სიყვარულით, საოცარი ოსტატობით ნაქარგი ცხვირსახოცები, რომელთა აბრეშუმის სახეებშიაც ჩვენი სამშობლოს მზის სხივები ელვარებდნენ, ოდეკოლონისა და სურნელოვანი სითხის პატარა შუშები და ბევრი სხვა რამეც. ეწყო იქ მინდვრის ყვავილების გამხმარი სურნელოვანი ფოთლებიც-კი.

ჩვენი მებრძოლებისთვის ესოდენ ძვირფას ნივთებს შორის წერილებიც აღმოჩნდა. ერთ ასეთ წერილზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ამჟამად კი ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ პატარა საჩუქარს ლეიტენანტი სოკოლოვსკი — მებრძოლი და მამაცი შტურმანი კაპიტან წურწუმიას სახელგანთქმულ ესკადრილიიდან—თვალის ჩინივით უფრთხილდება. და მეტად უცნაური იყო, რომ ამ ახალგაზრდა შესახედაობის, კომბინიზონში გამოწყობილმა მეთაურმა, რომელიც კონსტანცში, სულინში და პლოეშტში ფაშისტთა აეროდრომებს და ნავთის საწყობებს ანადგურებდა, რომელმაც მტრის არა ერთი ტრანსპორტი ჩასძირა ზღვაში და რომელიც თითქოს უშიშარი შევარდენიაო, საზღვაო ყუმბარმშენების თავისი ქვეგანაყოფით მამაცად იგერიებდა ფაშისტურ გამანადგურებლებს — „ხეინკელებსა“ და „მესერშმიდტებს“, ამ პატარა საჩუქრის დანახვაზე ნაზად გაიღიმა და სთქვა:

— შესანიშნავი შემთხვევაა! ხომ მართალია?

და ყველა ეთანხმებოდა მამაც მეთაურს — დიაღ, მართალიაო.

მეტად საინტერესოა ამ ამანათის ისტორია.

...იმ დღეს ნაწილს ბევრჯერ მოუხდა საბრძოლოდ გაფრენა. თვითმფრინავები ეშვებოდნენ წყალზე მხოლოდ იმიტომ, რომ მიეღოთ საჭურველი: ვაზნები ტყვიამფრქვევებისთვის, ყუმბარები ზარბაზნებისთვის და ბომბები. ბუქარესტი ზანზარებდა რუმინეთის სამეფო არსენალის ყუმბარების აფეთქებისაგან. ცეცხლში იყო გახვეული კონსტანცი, სულინი, პლოეშტი და შავი კვამლის სვეტები შავი ზღვის ცის კამარას სწვდებოდნენ. აეროდრომებიდან აფრენილი საბჭოთა მფრინავები გზას იკვლევდნენ: ღამე—კვამლის სვეტებით, ხოლო დღისით—ცეცხლის გავარვარებული ენებით. შტურმანები ნაწილობრივ „განთავისუფლებული“ იყვნენ კურსის ჩვენებისა და შესწორებათა შეტანისაგან. ნაწილის მეთაური კაპიტანი წურწუმია ამბობდა:

— მტრის ტერიტორიის თავზედაც კი საბჭოთა ჰაერი უნდა იყოს და ჩვენ როგორც შინ, ისე უნდა დავფრინავდეთ იქ.

ჩვეულებრივი დღე იყო — მზიანი, ისეთი, როგორიც ხშირად იცის შავ ზღვაზე. შტურმანი სოკოლოვსკი ამ დღეს სასტიკად გამოიყურებოდა. ყოველი დაბრუნების შემდეგ იგი კვლავ მიისწრაფოდა ჰაერისაკენ. ხედავდნენ ამას თანამებრძოლნი — შტურმანები, პილოტები, მოტორისტები — და ამბობდნენ:

— დღეს ვალოდიას ბედნიერი დღე დაუდგა.

— რატომ?

— მხიარულია!

— რატომ?

— ჩუმად არის.

— განა ეგ მხიარულებაა?

— მაგან უხმოდ იცის მხიარულება.

— დაეხსენით, დეე, გული მოიფხანოს!—სთქვა კაპიტანმა წურწუმიამ.—ჩინებული დღეა, საუცხოო მანქანებია, ბომბები მიზანს ხვდებიან...

სოკოლოვსკი ხმას არ იღებდა და კვლავ მიდიოდა გასაფრენად. მალე ისევ ბრუნდებოდა. რაკი ასეთი ბედნიერი დღე გათენდა, სავსებით უნდა იქნას იგი გამოყენებული, გამოყენებული იმისათვის, რომ სასიკვდილო ლახვარი ჩაეცეს მტრის სასიცოცხლო ცენტრებს.

დღის დამლევს, როცა მზე თავისი ხშირი წითელი სხივებით ზღვას დაებჯინა, თითქოს უნდა მის მაღალ ტალღებს აარიდოსო თავი, სოკოლოვსკის თვითმფრინავი ზღვის უბის წყნარ ზედაპირს შეეხო. შტურმანი უკანასკნელი გადმოვიდა თვითმფრინავის კაბინიდან და უკანასკნელი გადავიდა ნაპირზე კატარღიდან. ფრენის შემდეგ სასიამოვნოა, როცა ფეხს სამშობლოს მაგარ მიწას დაადგამ, როცა ისუნთქავ მშობლიურ, ზღვის სიმლაშით შეზავებულ ჰაერს.

მხარზე პარაშუტ-გადაგდებული სოკოლოვსკი ნაწილის შტაბისკენ გაემართა. კაიუტ-კომპანიასთან მეთაურთა ჯგუფი იდგა, ხოლო მათ შორის, მაგიდასთან, ნაწილის კომისარი, რომლის წინაც ეწყო რაღაც არაჩვეულებრივი ბოხჩები. შტურმანი შეჩერდა ოდნავ მოშორებით, მსროლელ-რადისტებს შორის. ეტყობოდა, კომისარს ლაპარაკი გაეთავებინა და ახლა სათითაოდ იწვევდა პილოტებს, შტურმანებს, მსროლელ-რადისტებს და ურიგებდა მათ პატარა ამანათებს.

— რა ამბავია? — ჰკითხა ამხანაგებს სოკოლოვსკიმ.

— ამანათებს არიგებენ. საჩუქრებია ჩვენთვის.

— ჩინებულია! — მიუგო ლეიტენანტმა.

კომისარმა თვალი მოჰკრა სოკოლოვსკის.

— ამხანაგო სოკოლოვსკი! ჩვენ ნაწილს ამანათები მოუვიდა. გთხოვთ, მიიღოთ თქვენი ამანათი, — კომისარმა თვალი გადაავლო მაგიდაზე ბოხჩებს და დაუმატა:—რომელი მოგცეთ? თქვენ დღეს საუკეთესო საჩუქარი დაიმსახურეთ,—და, აარჩია რა ყველაზე სუფთა და ნაკლებად დაჭმუჭნული ამანათი, გადააწოდა ლეიტენანტს:—აი ეს ყველაზე უკეთესია. აუცილებლად გაეცით პასუხი ამანათის გამომგზავნ ქალს.

— მერე, სად არის აქ მისამართი? — იკითხა სოკოლოვსკიმ და ხელში გადაატრ-გადმოატრიალა ამანათი. — მისამართი არსადა სჩანს.

— ალბათ, ამანათშია. ყველა ამანათში წერილია.

— რატომ ფიქრობთ, რომ ამანათი ქალიშვილისაგან არის? იქნება სხვა ვინმესაგანაა?

— შეუძლებელია! ასეთ შტურმანს საჩუქარს მხოლოდ ქალიშვილი გამოუგზავნიდა,—მხიარულად სთქვა კომისარმა.

— ამასთან ძალიან ლამაზი ქალიშვილი, აი ნახავ!—დაუმატა ნაწილის მეთაურმა წურწუმიამ.—მისამართიც იქნება მანდ.

მართლაც, ამანათებში გამოგზავნილ ნივთებს შორის ამხანაგები პოულობდნენ პატარა, ოთხად დაკეცილ ფურცლებს: ამ ფურცლებში გამოთქმული იყო საბჭოთა მოქალაქეების უზომო სიყვარული სამამულო ომის გმირებისადმი, პატრიოტიზმის დიდი გრძნობა. მოკრძალებული ახალგაზრდა მეთაურები, ყურადღებით გახარებულნი, წითლდებოდნენ, როდესაც მოქალაქენი შორეული ფრონტიდან მოსულ წერილებში გმირებს უწოდებდნენ მათ.

სოკოლოვსკიმ ამანათი გახსნა. ზევიდან აბრეშუმის ძაფით მოქარგულ ცხვირსახოცზე, იდო წერილი. პატარა, ოთხად დაკეცილი ქაღალდი. ხუმარამ, ყველაფრის წამომწყებმა, ესკადრილიის პოეტმა ვანია დონეცკიმ, ცხვირსახოცის დანახვაზე ექსპრომტად წარმოსთქვა შემდეგი ლექსი, რომელიც ყველას მოეწონა:

ხელმანდილი მომიქარგე
აბრეშუმის შუქით, ცეცხლით,
რომ მოსჩანდეს დაისები,
ნაკადის და ცვარის ვერცხლი,
კიაფობდეს ელვის დაშნა,
ღრუბელი და მწვანე მთები,
რომ ჰყვაოდეს აბრეშუმზე
მაგ თვალების ლურჯი ტბები.

ირგვლივ გაისმა ამხანაგური შეძახილები:

— ყოჩაღ, ვანია! რაც ჰაერში ხარ, ის მიწაზე! ოსტატი ხარ!

ამხანაგების შექებისაგან დარცხვენილმა დონეცკიმ სთქვა:

— წაიკითხე, ვალოდია, წერილი, ალბათ, საინტერესოა.

„გამარჯვებათ, ჩემო ძვირფასო! — დაიწყო კითხვა სოკოლოვსკიმ:—გიგზავნით რა ამ პატარა საჩუქარს, არ ვიცი, ვინა ხართ თქვენ—ტანკისტი, მესანგრე, ქვეითა მებრძოლი თუ მფრინავი, მაგრამ ვიცი, დარწმუნებულიც ვარ, რომ თქვენ დაუნდობლად უსწორდებით ბარბაროსებს. დასცხეთ მათ უფრო მაგრა, უფრო ძლიერ!..“

ლეიტენანტმა უცბად შეაჩერა კითხვა და შეხედა ჯერ ხელმოწერას, შემდეგ ამხანაგებს და სთქვა:

— საოცარია! შეუძლებელია!

— სწორეა, სწორე! კარგად იწერება: ბევრჯერ დავცხეთ და კიდევ დავცხებთ! — შენიშნა პილოტმა ლომიძემ.

— საოცარია, მეგობარო... გეუბნები, საოცარია... ელენე! ე-ლე-ნე! წარმოსთქვა მარცვალ-მარცვალ ეს სახელი სოკოლოვსკიმ.

და ყველამ შენიშნა, როგორ აუკანკალდა ყოველთვის მშვიდობიან შტურმანს თითები და როგორ აიზიდა ზევით მისი მარჯვენა წარბი—ეს იყო უდიდესი გაკვირვების მაჩვენებელი.

სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტამ იცოდა შტურმან სოკოლოვსკის სიყვარულის ამბავი. მაგრამ ბევრს ნანახი ჰქონდა ლამაზი, შავგვრემანი ქალიშვილის ფოტოსურათი ლეიტენანტის მაგიდაზე, უფროსთა შემადგენლობის საერთო საცხოვრებელში.

პირველმა ლეიტენანტმა დონეცკიმ დაარღვია სიჩუმე. როგორც მეგობარი, ის მიხვდა ამხანაგის მღელვარების მიზეზს. იგი, რა თქმა უნდა, იცნობდა ელენეს, ახსოვდა უკანასკნელი საღამო, როცა ელენე აცილებდა მათ, შვებულებიდან ომში მიმავალთ:

— მისამართი, მისამართი ნახე! — თითქმის დაუყვირა დონეცკიმ.

„კრასნოდარი, ორჯონიკიძის ქუჩა, ნომერი...“

— ის არის, ის! ლენაა!

ახლა მიხვდა ყველა, რაში იყო საქმე. დიაღ, შტურმანის საყვარელმა ქალიშვილმა გაგზავნა ფრონტზე ამანათი საჩუქრებით და ეს ამანათი ერგო... შტურმანს სოკოლოვსკის. მოულოდნელი შემთხვევა!

— აი ეს მართლა გასაოცარია! — პირველად გამოსთქვა თავისი აღტაცება მუდამ ენაწყლიანმა კოსტია დომენკომ.

— რას იტყვის ახლა ჩვენი პოეტი? —ჰკითხა ლომიძემ დონეცკის.

— ჰო, ჰო, ვანია, სიტყვა შენ გეკუთვნის.

— ამხანაგებო და მეგობრებო! — დაიწყო წელში გასწორებულმა ესკადრილიის პოეტმა:—აქ პოეზია უძლურია! სრულიად უძლური! აქ უმაღლესი გრძნობაა. დიაღ!—დაამთავრა პოეტმა, გახარებულმა, რომ შესაფერი სიტყვა გამოსძებნა.

ახლა ესკადრილიაში, კოსტია დონეცკის სიტყვებს შემდეგ, მეგობრულად ურჩევენ სოკოლოვსკის:

— როცა ომი გათავდება, ვალოდია, წაიღებ ამანათს შინ და ყველაზე უფრო საპატიო ადგილას დასდებ. ხოლო როცა შვილები გაგეზრდებიან, წვერებ-მოშვებული, ორდენებით მკერდდამშვენებული ბავშვების წინ დადგები და ეტყვი მათ:

— ჩემო შვილებო! ეს მოხდა სამამულო ომის მკაცრ დღეებში. მამა თქვენი ფრონტზე იყო, ხოლო დედა თქვენმა საჩუქრები გაუგზავნა გმირული წითელი არმიის მებრძოლებს...

სხვები, ფილოსოფიით ნაკლებად გატაცებულნი, უბრალოდ მიმართავდნენ სოკოლოვსკის:

— არა, ვალოდია! ეს ამბავი არაჩვეულებრივია, შესანიშნავია. ეს უნდა იცოდეს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ. ამ ამანათის ადგილი წითელი არმიის მუზეუმშია.

ბრძოლის მკაცრ დღეებში გულს სიხარული ეფინება, როცა იცი, რომ ჩვენ, ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე მყოფნი მუდამ, ყოველ დღესა და საათს ვახსოვართ მახლობლებსა და მეგობრებს, ნაცნობებსა და უცნობებს, რომ დაუზარებლად ზრუნავენ ისინი ჩვენთვის. ყველას ერთი სურვილი აქვს, ერთი აზრი, მთელი საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია ერთის მისწრაფებით — გააცამტვეროს სისხლისმსმელი ფაშიზმი, აღგავოს იგი დედამიწის პირიდან.

და ეს დღე დადგება. ამაში დარწმუნებულია მთელი საბჭოთა კავშირი. სწორედ ამაზე მისწერა შტურმანმა სოკოლოვსკიმ თავის საყვარელ მეგობარს და ამით შეასრულა ბრძანება კომისრისა, რომელმაც ამანათი გადასცა.

---

*) მწერალი პ. ი. სიმონოვი, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება, არის სამხედრო-საზღვაო მფრინავი, რუმინეთზე ჩვენი სამხედრო-საჰაერო ესკადრილიის თავდასხმების მონაწილე. მას ჩამოგდებული აქვს მტრის რამდენიმე თვითმფრინავი, მათ შორის, ორი ყუმბარმშენი. ამხანაგი პ. ი. სიმონოვი ორ თვეს მსახურობდა კაპიტან წურწუმიას ესკადრილიაში. იგი დაჯილდოებულია საკავშირო უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ წითელი დროშის ორდენით. ეს ნარკვევი დაწერილია ჩვენი გაზეთისათვის. რედ.

შავი ზღვის ფლოტის ხომალდები მიდიან საბრძოლო ოპერაციების საწარმოებლად. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

პარტიზანები

დავით გაჩეჩილაძე

სად ლესავენ ნიჟაბ მახვილს,
სად აქვთ საფარი?
შავი ტყეა მათი სახლი,
მთვარე—ლამპარი.
ბოლავს მთვარე, ხეა ნისლით
ჩამობურდული;
ბნელ ტოტებში წყნარად ისმის
ჩიტის ჟღურტული...
ზეცას ავლებს გარიჟრაჟი
წითელ ხარვეზებს,
და ვერხვის ქვეშ ბჭობენ ვაჟნი
მშობელ მხარეზე;
ბჭობენ—გახდნენ ქვეყნის მცველად
მათი რაზმები.
მკერდს უმშვენებსთ ოქროსფერად
თითბრის ვაზნები;
დაუსახავთ მტერთან შებმა
ტყის უჩინარებს,
ორთქლი ასდით ულვაშებთან
რისხვით მქშინავებს,
გასცქერიან მხარეს მშობელს
მათი თვალები:
სამი დღეა თარეშობენ
იქ მტარვალები.
სიკვდილივით სოფლად დადის
მტერი სასტიკი,
და ყორანს ჰგავს დროშა მათი
შავი სვასტიკით;
სდუმს სოფელი, აღარ იძვრის
კვამლში დახრილი,
ნაკვერცხლების ფერფლში იწვის
ბავშვის ძახილი...
ჰე, სიცოცხლეს ულამაზესს
ითხოვს მამული!
ჰე, გავსძახოთ, ძმებო, გზაზე
პარტიზანული!

დღეს სიმართლე ჩვენთან არის,
გვიხმობს ბელადი...
ჩქარა, ხიდზე მტერთა ჯარის
გადარბენამდი...
ჩვენ გვეძახის შურისგება
დაუფარავი,
მტრის განკითხვის წუთი დგება,
წუთი მზარავი...
თუმც მიფრინავს, ვაჟკაცს გული
მაინც აჩქარის...
ხიდზე შედის შეჯავშნული
მტერთა ლაშქარიც;
— სამშობლოსთვის! ჰაერს ბზარავს
თითქო ზარის ხმა,
ხიდზე გრგვინავს ხელყუმბარა
პარტიზანისა,
გამოჩნდება კვამლი შავი,
მკვდრების გორები...
აქ დაჯდება ჩქარა ყვავი
ფრთების სწორებით;
ის დაჯდება ზვიადურად,
ნელი ფართქალით,
და შეარხევს ველთა ბურანს
მისი ყრანტალი.
პარტიზანებს ნისლი ამკობთ,
რისხვით მქშინავებს,
მათ ტყის ღამე საარაკო
აუჩინარებს;
იქ ლესავენ გმირნი მახვილს,
იქ აქვთ საფარი;
შავი ტყეა მათი სახლი,
მთვარე—ლამპარი.
მათ სიცოცხლეს ულამაზესს
ითხოვს მამული,
და გაისმის გზიდან გზაზე
პარტიზანული.

„ხიდი გამარჯვებისაკენ“

თბილისის კინოსტუდია მუშაობს ახალი კინო-ფილმის გადასაღებად. კინო-ფილმს ეწოდება „ხიდი გამარჯვებისაკენ“. ფილმის სცენარი ეკუთვნის გ. მდივანს. სცენარი გადამუშავებულია მისივე პიესიდან: „ბატალიონი დასავლეთისკენ მიემგზავრება“.

ფილმს სდგამენ რეჟისორები კ. პიპინაშვილი და შ. მანაგაძე. წამყვან როლებს ასრულებენ დ. წეროძე, ს. ბალაშვილი და ს. ლორთქიფანიძე.

მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ა. მაჭავარიანს. მხატვარი — ქ. კიკნაძე, ოპერატორი — ფ. ვისოცკი.

ახალი ქართული ოპერა „ბედი ქართლისა“

სტალინური პრემიის ლაურეატი ორდენოსანი კომპოზიტორი გრ. კილაძე სწერს ახალ ოპერას „ბედი ქართლისა“.

ლიბრეტო ოპერისათვის დასწერეს ორდენოსანმა მწერლებმა ილო მოსაშვილმა და კონსტანტინე ლორთქიფანიძემ.

ოპერის მთავარი გმირები არიან ერეკლე მეორე და ტახტის მაძიებელი პაატა ბატონიშვილი, რომელიც მეთაურობს ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებას. ამ ორ პიროვნებაში მოცემულია ორი პოლიტიკური მიმართულების ბრძოლა. ერეკლე მეფის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ საქართველოს ბედი დაუკავშიროს ძლიერ ერთმორწმუნე რუსეთს და ამით იხსნას ქართველი ხალხი განადგურებისაგან. შეთქმულები კი პაატა ბატონიშვილის მეთაურობით ლამობენ საქართველოში ირანისა და თურქეთის გავლენა განამტკიცონ.

ამ ფარგლებშია გაშლილი ახალი ოპერის სიუჟეტი, რომელიც შეიცავს სცენიურად მრავალ საინტერესო ადგილს და მეტად საყურადღებო დრამატიულ მომენტს.

კომპოზიტორი კილაძე ინტენსიურად მუშაობს ოპერაზე. მას განზრახული აქვს „ბედი ქართლისა“ მიმდინარე სეზონში დაამთავროს.

ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ 27 და 29 ოქტომბერს მოაწყო ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები ა/კ რკინისგზის პოლიტგანყოფილების აგიტ-წერტსა და სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში. საღამოები მოეწყო თბილისის მე-16 საშუალო სკოლის მოსწავლეთა და მშობელთათვის.

საღამოში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა და პოეტებმა ი. გრიშაშვილმა, ალ. აბაშელმა, გ. ქუჩიშვილმა, ი. ლისაშვილმა, ვ. გორგაძემ, ს. თავაძემ, გ. კაჭახიძემ, მარიკა მიქელაძემ და სურენ ავჩიანმა.

მოხსენებით თემაზე: „სამამულო ომი და ქართული მწერლობა“ გამოვიდა სიმონ წვერავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პროფესორი მამლოკი“ რუსთაველის სახელობის თეატრში

შალვა აფხაიძე

ისტორიულ მოვლენებსა, სამოქალაქო ომის მწვავე ბრძოლებსა თუ თანამედროვე ტრაგიზმით სავსე კონფლიქტებზე აგებული დრამები, რომლებიც ჩვენმა თეატრებმა უკვე განახორციელეს, ერთ მთავარ მიზანს ისახავენ: დარაზმონ საზოგადოების ყურადღება მიმდინარე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გარშემო, აამოძრაონ მაყურებელში ცხოველმყოფელი გმირული სული, შეურიგებელი ბრძოლის წყურვილი, სამშობლოს სიყვარულის წმინდა გრძნობა.

ამ მიზანს ემსახურება ფრ. ვოლფის პიესა „პროფესორი მამლოკი“. ეს პიესა ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა საზოგადოებრიობისთვის, უმთავრესად კინოეკრანის საშუალებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაყურებელზე მეტ შთაბეჭდილებას ახდენს ეკრანზე ნახული მამლოკი. ეკრანი მას მოქმედების მეტ გასაქანს და, ამასთან დაკავშირებით, მაყურებელზე ზემოქმედების მეტ შესაძლებლობას აძლევს.

„პროფესორი მამლოკი“ დაიდგა გრიბოედოვის სახელობის რუსულ თეატრშიც. ამ უკანასკნელთან შედარებით რუსთაველის თეატრში დადგმული ვარიანტი უფრო გაშლილია, ჩამატებულია დიალოგები და სცენაც კი. ეს კი სპექტაკლს მეტ სიცხოველეს, აქტუალობას და გარკვეულობას აძლევს, თუმცა მშრალი სქემატიზმის უფერულობისაგან ვერ ანთავისუფლებს.

საქმე ის არის, რომ პიესაში დასმული საკითხი დღევანდელ ვითარებაში უკვე მოკლებულია სიმწვავეს. დღეს არავის აღარ სჭირდება იმის მტკიცება, რაც პიესის მიხედვით მამლოკისათვის ჯერ კიდევ გაურკვეველია და დამტკიცებას მოითხოვს ბრძოლის განვითარების მაგალითზე. დღეს არავინ აღარ არის ისეთი ილუზიებით შეპყრობილი, როგორითაც მამლოკი იყო. არავისთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს — შეიძლება თუ არა არსებობდეს მეცნიერება პოლიტიკის გარეშე, როგორც ეს მამლოკს ჰქონდა წარმოდგენილი. ევროპის ტრაგედიამ და სამამულო ომმა ეს საკითხი საბოლოოდ გარკვეული გახადეს ყველა პატიოსანი მოქალაქისთვის.

მიუხედავად ამისა, ვიდრე უშუალოდ სამამულო ომის წიაღიდან წარმოშობილი პიესები შეიქმნებოდნენ, „პროფესორი მამლოკი“ მაინც საჭირო პიესაა, რამდენადაც მასში შიშველი სახით მოცემულია პროცესი ინტელიგენციის მიერ ფაშისტური სინამდვილის შეცნობისა, იმ იდეალისტური ბურუსის გაფანტვის პროცესი, რომლის გავლენის სფეროშიაც ინტელიგენციის განსაზღვრული ფენა ფაშიზმის ხელისუფლების სათავეში ჩადგომისას იყო მოქცეული. მამლოკისთვის ნათელი ხდება, რომ არ არსებობს თავისთავადი, პოლიტიკას ჩამოშორებული მეცნიერება, რომ ფაშისტური რასული თეორია ვერ ურიგდება, ვერ იტანს ისეთს თავდადებულ მუშაკებსაც კი, როგორიც მამლოკია, ვერ ურიგდება მხოლოდ იმიტომ, რომ მასში არიელის სისხლი არა სჩქეფს, რომ იგი ებრაელია. თუმცა ეს ებრაელი მთელი იმპერიალისტური ომის განმავლობაში ფრონტზე იყო და გერმანიის ინტერესებს ემსახურებოდა.

„პროფესორი მამლოკის“ დადგმა ეკუთვნის დ. ალექსიძეს. რეჟისორული გააზრების მხრივ დადგმა ახალს არაფერს იძლევა. იგი, ასე ვსთქვათ, მხატვრულ მიღწევათა მიღმა სდგას. ვფიქრობ, შეიძლებოდა პიესის მეტი გამახვილება, მისთვის დღევანდელობის მეტი იერის მიცემა, სხვადასხვა რეჟისორული ჩანართვის მეშვეობით მისი მეტად გამძაფრება. სპექტაკლში არა სჩანს მკვეთრად ის მაჯისცემა, ის მღელვარება, რაც რუსთაველის თეატრის სტილსა ჰქმნის, და ყოველივე ეს თვით პიესის სქემატიზმიდან მოდის. იგი არც რეჟისორს და არც მსახიობს არ აძლევს მხატვრული ენერგიის გაშლის შესაძლებლობას. თუმცა არც ფორმათა ძიების დროა ახლა, როცა ვითარება გაშლილ აგიტაციასა და მოვლენებზე სწრაფ გამოხმაურებას მოითხოვს.

პროფესორ მამლოკის როლს ასრულებს გ. დავითაშვილი. ეს შეიძლება ითქვას, ერთად-ერთი მთლიანი ხორცშესხმული სახეა პიესაში. მსახიობს მოუნახავს მისი მთავარი ნერვი და ამიტომ იგი მებრძოლის საკმაოდ გამოკვეთილ პორტრეტსა ჰქმნის. მისი მამლოკი მტკიცე, გაბედული, შეურიგებელი, პატიოსანი მებრძოლია მეცნიერებისა და ხალხის მაღალი იდეალებისათვის. ეს სიმტკიცე მასში ეთრგვარი სიმკაცრის კვალსაც სტოვებს, ადამიანური ღიმილის ყოველგვარ ნასახსაც შლის თითქოს. მსახიობი მამლოკის სახეს უფრო მკაცრი ტონებით ხატავს, თბილ ფერებს ერიდება. ეს არის სასტიკი ხანის ანარეკლი, კვალი იმ წინააღმდეგობისა, რომელიც მის ოცნებასა და მკაცრ სინამდვილეს შორის აღმართულა. მსახიობის მამლოკი გამოცდილი ხელით მოსმული, კოლორიტული სახეა.

ერთგვარი ბურუსი აქვს გადაკრული ექიმ ინგე რუოფის სახეს. იგი ფაშისტური ორგანიზაციის წევრია. შემდეგ ირკვევა, რომ მას უყვარს მამლოკის შვილი როლფ მამლოკი, კიდევაც ხელს უწყობს კომუნისტურ აგიტაციაში და უკანასკნელ სცენაში არ აწერს ხელს მამლოკის წინააღმდეგ შეთითხნილ ოქმს. დაუჯერებელი, გაურკვეველი არატიპიური სახეა. ეს ხელს უშლის მსახიობს თ. ბაქრაძეს როლის წარმოსახვაში, მისთვის დამაჯერებლობის მიცემაში. არსებულ ძუნწ შესაძლებლობას მსახიობი მოხერხებულად იყენებს და ჰქმნის ისეთ სახეს, რომელსაც მაინც ანათებს ადამიანის სხივი.

რელიეფურ, დამამახსოვრებელ და მართალ პორტრეტებს ხატავენ ემ. აფხაიძე და სარჩიმელიძე: პირველი — რომელიღაც გაზეთის რედაქტორისას, მეორე ექიმ გირშისას. ორივეს სახით სცენაზე გაცოცხლებულნი არიან ადამიანები, რომელთაც არც პრინციპები აქვთ და არც ნებისყოფა, რომელთაც სულმდაბლობა და მლიქვნელობა ახასიათებთ.

ელენ მამლოკის როლი არ შეადგენს თ. თუშიშვილის, როგორც იტყვიან, ამპლუას, ამიტომ იგი მკრთალი და უსიცოცხლოა, თუმცა აქვს ცალკეული მოხდენილი სცენებიც (სცენა თავის მეუღლესთან).

ჩვეულებრივი ტემპერამენტით ასრულებს თავის როლს (ექიმ გელპახისას) გ. საღარაძე. გამოსაყოფია აგრეთვე კოლორიტობის მხრივ ერნსტი, რომელსაც სტ. ჯაფარიძე ასრულებს. ამ უკანასკნელს სპექტაკლში მეტი სიცხოველე და სიცოცხლე შეაქვს. სპექტაკლის საერთო დონეზე დგანან ო. დოლიძე, რომელიც წვრილბურჟუაზიული ისტერიკით შეპყრობილ ფრაუ რუოფის როლს ასრულებს, ვ. დოლიძე როლფ მამლოკის, ან. სანაძე გედვიგას და შ. აბესაძე ექიმ კარლსენის როლებში. სიმპატიურია ეპიზოდურ როლში (სანიტარი გრამოტკო) მსახიობი წულაძე.

საერთოდ სპექტაკლი დამსწრე საზოგადოების სიმპატიით სარგებლობს.



ქვემეხის მსროლელთა ჯგუფი, რომელიც ქვემეხის უფროსის, კომკავშირელი ვ. ბაბკინის მეთაურობით შესანიშნავად მოქმედობს საბრძოლო პირობებში.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

მოსკოვის თეატრებში

მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრში მიდიოდა კ. ლიპსკეროვისა და ა. კოჩეტკოვის პიესა „ნადეჟდა დუროვა“, რომელიც გვიხატავს პირველი სამამულო ომის ცნობილ მხედარ-ქალის გმირულ თავგადასავალს. მეორე აქტის ერთ-ერთი სურათის წარმოდგენის შემდეგ ფარდის წინ გამოჩნდა თეატრის წარმომადგენელი და დარბაზს მიმართა: „ამხანაგო მაყურებლებო“ გამოცხადებულია საჰაერო განგაში, წარმოდგენას ვსწყვეტთ. დამშვიდებით „გაბრძანდით თეატრიდან და თავი შეაფარეთ მახლობელ თავშესაფარს“. მაყურებლები აუჩქარებლად და აუღელვებლად სტოვებდნენ თეატრის დარბაზს. როცა ფოიეზე გადიოდნენ, მაყურებლები ხედავდნენ, თუ როგორ მართავდნენ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის გუსართა მუნდირებში გამოწყობილი მსახიობები სახანძრო შლანგებს. ასე შეიჭრა 1941 წლის სამამულო ომი 1812 წლის სამამულო ომის ამსახველ სპექტაკლში.

მოსკოვის თეატრები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ იმ მრისხანე ამბებს, რომლებსაც ჩვენი სამშობლო განიცდის. ერთი მეორეზე გამოჩნდნენ მოსკოვის თეატრის სცენებზე პიესები ახლანდელ საბჭოთა ხალხის დღევანდელ გმირულ ბრძოლაზე და მის მახლობელ და შორეულ სამხედრო წარსულზე.

ერთი ასეთი პიესათაგანია „ნადეჟდა დუროვა“, რომელიც შესანიშნავად დასდგა ი. ზავაცკიმ და რომელსაც დიდი წარმატება აქვს მსახიობ ვ. მარეცკაიას მიერ პიესის მთავარი როლის ჩინებულად შესრულების გამო.

გერმანელი ფაშისტების კერპის ფრიდრიხ მეორის არმიის განადგურება და რუსი ჯარის შესვლა ბერლინში 1760 წელს ნაჩვენებია მ. გუსის და ფინის პიესაში „ბერლინის გასაღები“, რომელიც დასდგა მოსკოვის რევოლუციის თეატრმა და რომელსაც თბილისის მაყურებელიც იცნობს მარჯანიშვილის თეატრის დადგმით. მოსკოვის დრამატიული თეატრის მიერ ფ. კავერინის ხელმძღვანელობით დადგმულ დ. ფიბიხის და ი. კუპრიანოვის პიესაში „ფინეთის თოვლიან ველებზე“ ნაჩვენებია ის, თუ როგორ ხდებიან სიცოცხლის მოყვარული მხიარული საბჭოთა სტუდენტები, 1939 წლის ომის მონაწილენი, მამაც მრისხანე მებრძოლებად. სძლევს რა ყოველგვარ დაბრკოლებას, მამაცი წითელი არმია, რომლის ნაწილებშიაც არიან საბჭოთა სტუდენტები, დიდი ვაჟკაცობით იღებს მოწინააღმდეგის აუღებელ ციხე-სიმაგრეს.

გერმანელ ყაჩაღებთან დაკავშირებული იგივე მტერი გამოყვანილია დ. სჩეგლოვის პიესაში „სამპოს განძი“, რომელიც დადგა ლენინის რაიონის საბჭოს თეატრმა. ამ პიესის მოქმედება ვითარდება უფრო ადრინდელ პერიოდში—სამოქალაქო ომების წლებში, როცა კარელიელი და რუსი გლეხები ადგენდნენ პარტიზანულ რაზმებს, რათა ებრძოლათ მტერთან, რომელიც სცდილობდა ამ ოცდაერთი-ოცდაორი წლის წინად ხელში ჩაეგდო საბჭოთა კარელია.

სამოქალაქო ომის ამბებს გვიხატავს გ. მდივნის პიესა „ბრძანება ფრონტისადმი“, რომელიც დასდგა ახალგაზრდა მაყურებლის მოსკოვის თეატრმა.

ამ პიესის ცენტრში სდგას დაუვიწყარი სახე სერგო ორჯონიკიძესი, რომელიც ხელმძღვანელობდა დასავლეთის ფრონტს. მისი ბოლო, მომწოდებელი სიტყვები. — ჩვენ გავიმარჯვებთ, უცხოელ ბანდიტებს არ გავათელვინებთ ჩვენს საბჭოთა მიწას!— გაისმის როგორც მოწოდება დღევანდელი ბრძოლისათვის და მათ ასედაც ითვისებს მაყურებელი.

გერმანული ფაშიზმის უმსგავსო სახე ნაჩვენებია ფრ. ვოლფის პიესაში „პროფესორი მამლოკი“, რომელიც ახალი ვარიანტით დასდგა მოსკოვის საბჭოს თეატრმა, და აგრეთვე პიესაში „ახალი წესრიგი“, რომელიც ი. ბერსენოვის დადგმით მიდის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრში. ეს უკანასკნელი სპექტაკლი შესდგება სამი პიესისაგან, რომელთაგან ორი („ქრისტიან ბეტც“ — ფრ. ვოლფისა და „სუ! ჩუმად!“ — ბერტოლდ ბრეხტისა) ეკუთვნის ანტიფაშისტ გერმანელ დრამატურგებს, ხოლო ერთი („ხორცის ნაჭერი“—ნ. ვენკსტერნისა) — საბჭოთა ავტორს. მაყურებლის წინ იშლება სხვადასხვა მხარე ფაშისტური წყობილებისა, რომელსაც საფუძვლად უდევს კაცთმოძულეობა, მატყუარობა, ადამიანის პიროვნების წარმოუდგენელი გათელვა და დამცირება. იმავე თეატრმა ხელახლა დაამუშავა სპექტაკლი „ნაღმოსანი „პხევენი“. ვ. კნეხტის ეს პიესა ამჟამად ახალ სახელწოდებას ატარებს („კომანდირებს მიჰყავთ ხომალდები“) და მისი მეორე ნაწილის მოქმედება გადმოტანილია ახალი სამამულო ომის ვითარებაში. პიესის გმირები არიან ჩვენი სახელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლნი და მეთაურები.

ეხლანდელი მრისხანე დღეები გადატანილია აგრეთვე კამერულ თეატრის სცენაზე გ. მდივნის პიესაში „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“ (ამ სპექტაკლზე უკვე გვქონდა წერილი „ლიტ. საქართველოს“ მე-21 ნომერში) და წითელი არმიის ცენტრალური თეატრის სცენაზე ა. პერვენცევის პიესაში „ფრთოსანი თაობა“, სადაც მოქმედებენ გულადი საბჭოთა მფრინავები და საბრძოლო საბჭოთა თვითმფრინავების შემქმნელ-მშენებელნი. სამამულო ომის ფრონტზე და ზურგში, საბჭოთა გამანადგურებლების კონსტრუქტორთა კაბინეტებში საბჭოთა პატრიოტები შეპყრობილნი არიან ერთად-ერთი სურვილით — რაც შეიძლება მალე განადგურებულ იქნას მოსისხლე მტერი, ვერაგულად რომ დაეცა თავს ჩვენს სამშობლოს. თავგანწირული ვაჟკაცობა, მოუდრეკლობა და შეუპოვრობა მიზნის მიღწევაში, მეგობრობის მაღალი გრძნობა, ხალისიანი მხიარული გუნება, — აი რით ჰხიბლავენ მაყურებელს ეს გმირები.

სწრაფად გამოეხმაურა სამამულო ომის ამბებს ოპერეტის თეატრიც. ოპერეტის „ივნისის ღამის“ ეპილოგი (მუსიკა ა. რიაბოვისა, ტექსტი ლ. იუხვიდისა და ალექსეევის) გადმოგვცემს სამამულო ომის პირველ დღეებს. ამ დაუვიწყარ პირველ დღეებში მთლიანად მჟღავნდება საბჭოთა ინტელიგენციის მაღალი პატრიოტიზმი.

თავისი დადგმებისათვის ორიგინალური ფორმა მონახა საესტრადო ხელოვნების საკავშირო სტუდიამ, რომელსაც სმირნოვ-სოკოლსკი ხელმძღვანელობს. ეს სტუდია საესტრადო ნომრებს ანხორციელებს საგაზეთო წერილების, ფელეტონების, კარიკატურების ცოცხლად გადმოცემით, ისე როგორც ერთ დროს საკლუბო დრამწრეები სდგამდნენ „ცოცხალ გაზეთებს“.

მოსკოვის მსახიობთა მოღვაწეობის არე მეტის-მეტად გაფართოვდა. სტაციონალურ თეატრებში მუშაობასთან ერთად მათ თავიანთ პირველი რიგის საქმედ გაიხადეს გამსვლელი წარმოდგენებისა და კონცერტების მოწყობა სამხედრო ნაწილებში, შესაკრებ პუნქტებზე, ჰოსპიტლებში, რადიოში, თეატრალურ და საკონცერტო სახლებში. წარმოდგენა რომ იქონიოთ, თუ რა ფართო ხასიათი მიიღო თეატრების მოღვაწეობამ თავიანთი შენობების გარეთ საკმაოა აღვნიშნოთ, რომ მეომართათვის დადგმული წარმოდგენებისა და გამართულ კონცერტების რაოდენობა ყოველთვიურად 10.500-ს აღწევს.

მოსკოვის თეატრები ცხოვრობენ თავიანთი მშობლიური გმირი ქალაქის და მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს დაძაბული ცხოვრებით. მთელი თავიანთი ძალღონით, მთელი თავიანთი ნიჭით, გამოცდილებით ხელი შეუწყონ საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას, მის საბოლოო გამარჯვებას პირსისხლიან ფაშიზმზე, — აი ამ მისწრაფებით არის განმსჭვალული მათი გული და გონება, მათი შემოქმედებითი მოღვაწეობა.

ა. ფებრალსკი.

მოსკოვი-თბილისი.

„სუვოროვი“

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა კ. ოსიპოვის წიგნი „სუვოროვი“. წიგნი შეიცავს გამოჩენილი რუსი მხედართმთავრის ბიოგრაფიულ მასალას. მასში მოყვანილია მრავალი ახალი ფაქტი, რომელიც სუვოროვის ცხოვრებას ახალ შუქს ჰფენს.

წიგნი თარგმნილია ნ. ძიძიგურის მიერ. შეიცავს 462 გვერდს.

„ალექსანდრე ნეველი“

საბლიტგამმა გამოსცა წიგნი რუსი ხალხის გამოჩენილი გმირის და სარდლის ალექსანდრე ნეველის შესახებ. წიგნი შედგენილია ის. აგიაშვილის მიერ.

წიგნში კარგად არის გამოყენებული ალექსანდრე ნეველზე არსებული ლიტერატურა და მასალა, მოხდენილად არის შედგენილი ცალკე ეპიზოდები, რაც წიგნს საინტერესო საკითხავად ხდის.

წიგნი შეიცავს 102 გვერდს და ღირს 4 მან.

დე გოლი

კოტე თოფურიძე

ამჟამად საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულ პირთა შორის გენერალი დე გოლი უდაოდ ერთ-ერთი საინტერესო ფიგურაა. დე გოლი პირველად გავიცანით საფრანგეთისათვის ტრაგიკულ მომენტში — საფრანგეთის არმიის კაპიტულაციის დროს. მაშინ, როდესაც გონება-დაბნეული საფრანგეთის მთავრობა გადადგა და ცდილობდა გაქცეულიყო საზღვარგარეთ კერძო პასპორტების მფარველობის ქვეშ, როდესაც ახალი მთავრობა მარშალ პეტენის მეთაურობით გერმანელებთან დამამცირებელი „შეთანხმებით“ ეძებდა საფრანგეთის „ხსნას“, ფაქტიურად-კი „ახალ წესრიგს“ ამყარებდა,—ამ დროს აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც თამამად და საჯაროდ განაცხადა, რომ არა სცნობს საფრანგეთს დამარცხებულად და ფიცსა სდებს თავისი და თავისუფალი ფრანგების სახელით— განაგრძოს ბრძოლა მტერთან თავისი სამშობლოს განთავისუფლებამდის.

ეს ადამიანი გენერალი დე გოლი იყო. ამ დროს მას ჰყავდა მხოლოდ რამდენიმე ათასი ჯარისკაცი, დიუნკერკის ევაკუაციის შემდეგ გადარჩენილი. მაგრამ ის მაინც არ შედრკა და უშიშრად შეუდგა ბრძოლას მტერთან. ზოგიერთ სკეპტიკოსს ეგონა, რომ ეს იყო გულწრფელი რაინდული ჟესტი, რომლის ძალასაც შეადგენდა დე გოლის გულწრფელი სიყვარული სამშობლოსადმი და მისი საბოლოო გამარჯვების რწმენა. მაგრამ სკეპტიკოსები სასტიკად შესცდნენ: დე გოლი არ არის მარტოოდენ ფრანგული პატიოსნებისა და პატრიოტიზმის სიმბოლო, იგი დღეს უკვე რეალური ძალაა, რომლის აქტივიც შეიცავს პატიოსან ფრანგთა ერთსულოვან თანაგრძნობას, რომელსაც ჰყავს თანამედროვე სამხედრო ტექნიკით შეიარაღებული ასი ათასი მებრძოლი და ათასი მფრინავი და რომლის სიძლიერეც იზრდება ინგლისის, ამერიკის დემოკრატიის და საბჭოთა კავშირის ხალხების რეალური დახმარების შედეგად.

დე გოლმა მიიმხრო საფრანგეთის ორი დიდი კოლონია—ეკვატორიალური აფრიკა და სირია. ამასთან დღითი-დღე ვრწმუნდებით, რა დიდ გავლენას ახდენს ფრანგებზე დე გოლის ავტორიტეტი: როდესაც დე გოლმა გამოაცხადა „სიჩუმის საათი“ გერმანიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, საფრანგეთის ქალაქებისა და სოფლების ქუჩები ერთბაშად დაცალიერდა; როდესაც დე გოლმა წარმოსთქვა სიტყვა „Victoire“ (გამარჯვება), ყველა კედელი საფრანგეთში შეიმკო ასო V-ით, როგორც ერთნაირი პროტესტის სიმბოლოთი. ბოლოს, ყოველი ფრანგი, რომელიც თავს აღწევს საოკუპაციო ან ვიშის მთავრობის „მფარველობას“, მაშინვე დე გოლის ბანაკში გადადის.

ჩვენში ყოველი მოქალაქე დიდის კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა მთავრობის მიერ დე გოლის, როგორც თავისუფალ ფრანგთა მთავრობის, ხელმძღვანელად ცნობას.

○

გენერალი დე გოლი ჩვენთვის საინტერესოა არა მარტო როგორც უმწიკვლო პატრიოტიზმის ნიმუში, რომელიც ჩვენში აღფრთოვანებას იწვევს, არამედ როგორც სამხედრო საქმის დიდი თეორეტიკოსი და ნიჭიერი სამხედრო მწერალი. მას ეკუთვნის სამხედრო ხასიათის მრავალი წერილი და წიგნი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, კერძოდ, მისი შრომა: „Vers l'armee de mètier“ გადმოთარგმნილი რუსულად და გამოცემული ჯერ კიდევ 1935 წელს სახელმწიფო სამხედრო გამომცემლობის მიერ[1]. ავტორის მიერ ამ წიგნში გამოთქმული ზოგიერთი დებულება დღეს თითქმის წინასწარმეტყველებად გვეჩვენება.

წიგნი იწყება ფრანგი საზოგადოების გაფრთხილებით იმ საშიშროების გამო, რომელიც საფრანგეთს ბელგიის საზღვრებიდან მოელოდა, რადგან ბელგია გეოგრაფიულად გერმანელებისათვის ადვილად გამოსაყენებელ გაშლილ ველს წარმოადგენს. „როგორც პორტრეტი იწვევს მაყურებელში წარმოდგენას მასზე გამოსახული ადამიანის ბედის შესახებ, ისე საფრანგეთის რუკა თვითონვე გვიამჟღავნებს თავის ბედს“. მხოლოდ ერთ ადგილას, იქ, სადაც სენისა და ლუარის აუზები გერმანიის სამფლობელოს უერთდებიან, არის „სახიფათო ხვრელი“. ამ ადგილის დასაკარგავად საკმაოა ერთი შეცდომა, დაუდევრობა ან მოულოდნელობა“. ჩვეულებრივ ამ გზით შედიოდა ყოველთვის მტერი საფრანგეთში, და დე გოლიც დარწმუნებული იყო, რომ მომავალ ომში გერმანია, რომელსაც შაბლონებისა არ ეშინიან, ისევ ამ გზით შეიჭრებოდა. დე გოლი მოუწოდებდა ფრანგებს, ეფიქრათ ამ „სასიკვდილო ხეივანზე, სადაც საფრანგეთმა დაჰკარგა თავისი ახალგაზრდების ერთი მესამედი“, რადგან აქ პარიზი საზღვარს დაშორებულია მოტორიზებული ნაწილების 3 საათის გადასავლით, ხოლო თვით გრინავეზის ერთი საათის გადაფრენით. მისი აზრით, ამ სუსტ ადგილს ვერ იხსნის მაჟინოს ხაზის გაგრძელება და ვერც საფრანგეთის მიერ დადებულ ხელშეკრულებათა ძალა.

ამავე დროს მომავალი ომი, დე გოლის აზრით, დაიწყება საფრანგეთისთვის არახელსაყრელ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში. საფრანგეთში გაბატონებულია პაციფისტური სულისკვეთება: „ყველა გაიძახის: ომი კანონ გარეშე უნდა გამოაცხადოთო, მზად ვართ ჩვენი მახვილი მიწაში ჩავფლათო. გაიძახიან ამას მაშინ, როდესაც სხვები ომის საშიშროებაზე ყვირიან, შეიარაღებას მოითხოვენ, ადგენენ მილიციას და საიერიშო რაზმებს“. ართულებს ამ გარემოებას ფრანგული ხასიათის თავისებურება: ფრანგული ექსპანსიურობა, გრძნობებისა და აზრების ცვალებადობა, ჯერ კიდევ იულიოს კეისარის მიერ შენიშნული „Gallorum subita ac repentina consilia*).

დე გოლი ამბობდა: „ფრანგი აღტაცებისა და სისუსტის გამოაშკარავებაში ერთნაირად სწრაფია“, მას ახასიათებს „უამრავი ვნებიანობა განზრახვებში და ნაკლები მუდმივობა“. ფრანგული ხასიათის ეს მხარეები, დე გოლის აზრით, ხელს შეუწყობენ მტრის პირველი საომარი მოქმედების წარმატებას. მაგრამ იმავე დროს ფრანგ ერს აქვს იშვიათი გამძლეობის უნარი. მისი ისტორია გვიჩვენებს, რომ გაჭირვების დროს ფრანგი ერი იშვიათ ძალასა და ენერგიას იჩენდა.

უწევდა რა ამ მომენტებს ანგარიშს, დე გოლი ფიქრობდა, რომ „საფრანგეთი, გეოგრაფიული და პოლიტიკური პირობების გამო, ან უნდა შეიარაღდეს, ან უნდა შესწყვიტოს თავისი არსებობა. მისი თავდაცვა კი შესაძლებელია მხოლოდ მანევრირების საშუალებით“, ე. ი. სამანევრო არმიის შექმნის საშუალებით.

○

სამანევრო პროფესიული არმიის შექმნის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ტექნიკის არსებულ მიღწევებს. იმას, რასაც წინად ძლივს აღწევდნენ მხოლოდ ჯარისკაცთა მასების შეერთებული ძალღონით, ახლა აღწევენ რამდენიმე გაუმჯობესებული მექანიზმით. „პირამიდებთან ბრძოლაში კარებში გამწკრივებული ბატალიონი ისროდა წუთში ორიათას ტყვიას. დღეს ამას აკეთებს სამი ტყვიამფრქვევი, მხოლოდ ათჯერ უფრო მეტ მანძილზე. ერთი თვითმფრინავი ერთი საათის განმავლობაში გებულობს მტრის შესახებ უფრო მეტს, ვიდრე მიურატის მთელი კავალერია გებულობდა ერთი დღის განმავლობაში“. თუ ბრძოლის ბედს წინათ სწყვეტდა მახვილი ან შუბი, თოფი ან ზარბაზანი, ახლა მას სწყვეტს რთული იარაღი. მარტო ქვეითა ჯარს ესაჭიროება, სულ ცოტა, 15 სხვადასხვა სახის იარაღი, არტილერიას—ქვემეხის 68 ტიპი, ხოლო საინჟინერო ნაწილებს—მრავალნაირი იარაღი.

სხვადასხვა მანქანის სიზუსტის ზრდასთან ერთად უფრო და უფრო ძნელი ხდება მათი გამოყენება და უფრო და უფრო სახიფათო მათი შეცდომა. ამასთან დაკავშირებით, დე გოლი დაასკვნის: პირველი—საჭიროა არმიაში მაქსიმალური მექანიზაციის შეტანა და მეორე —სამხედრო ოპერაციების თანამედროვე პირობები მოითხოვენ მებრძოლის დიდ დახელოვნებას ტექნიკის დაუფლების საქმეში. „იწყება რჩეული ჯარის ეპოქა. რაინდული აბჯარი გვევლინება დღეს ტანკების ჯავშანის სახით“.

თანამედროვე ომში საკითხს სწყვეტს ძრავი და ჯავშანი. ამ ორი საშუალების კომბინაცია—ტანკის სახით—შეუძლიან მტერი ქრონიკულ განცვიფრებაში ჩააგდოს, რადგან ტანკს ახასიათებს, ერთის მხრივ, სისწრაფე (და, მაშასადამე, მოულოდნელობა), ხოლო მეორეს მხრივ—სიძლიერე. „მსხვილი სამხედრო ერთეული ბანაკიდან გათენებისას გასული, საღამოს უკვე 200 კილომეტრით იქნება დაშორებული ამ ბანაკს. მოტორიზებულ ნაწილისთვის საკმარისია მხოლოდ ერთი საათი, რომ გაიაროს 15 კილომეტრი ყოველგვარ ნიადაგზე და დაეწყოს საბრძოლველად მტრის წინააღმდეგ, ან, პირიქით, მოსწყდეს მტერს ერთბაშად და გაჰქრეს მის თვალთაგან. მაგრამ ეს სისწრაფე ვერ მოგვცემს მთელ ეფექტს, თუ მას თან არა სდევს ცეცხლისა და შეტევის ისეთი ძალა, რომ ბრძოლის რიტმი მანევრირების სისწრაფეს უდრიდეს“.

ასეთი არმია, დე გოლის აზრით, შეიძლება მცირერიცხოვანი იყოს, მაგალითად, 100.000 კაცისაგან შესდგებოდეს. მისი სტრუქტურა შემდეგნაირი იქნება. არმია გაიყოფა 6 დივიზიად, ყოველ დივიზიაში 3 ბრიგადა იქნება. პირველი ბრიგადა—მექანიზებული—500 ტანკისაგან იქნება შემდგარი; მეორე ბრიგადა—მოტორიზებული—მთლიანად მოთავსებული იქნება ავტომანქანებზე, მესამე ბრიგადას—საარტილერიოს შეეძლება 15 წუთის განმავლობაში გაისროლოს 100.000 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა 15 კილომეტრის მანძილზე. ამასთან ყველა ბრიგადას ექნება ტყვიამფრქვევები (1.200), საზენიტო ქვემეხები და ავიაციის რამდენიმე ესკადრილია, რომელნიც თავიანთ ამოცანებს შეასრულებენ არმიის სხვადასხვა ნაწილთან შეთანხმებით. ასეთი არმიის შეტევის დროს მივიღებთ 3.000 ტანკის ხუთ-ექვს ტალღას, რომლებსაც შეეძლებათ გაარღვიონ გამაგრებული ფრონტი 40 კილომეტრის მანძილზე. მექანიზაციის გარდა, ამ არმიას ახასიათებს მისი ცეცხლის სიმძლავრე. მაგალითად, 1914 წელთან შედარებით დე გოლის ასიათასიან არმიას აქვს სამჯერ უფრო მეტი ცეცხლის სიმძლავრე, ათჯერ უფრო მეტი სისწრაფე და განუზომლად უფრო მეტი თავდაცვის უნარი.

○

მაქსიმალური მექანიზაციის შეტანის პრინციპით დე გოლი ძალიან უახლოვდება ამ პრინციპის ფუძემდებელს ფულერს და ამით იგი თითქოს არაფერს ახალს არ ამბობს. მაგრამ ახალი ამ დებულებებში მაინც არის: ადამიანის როლი თანამედროვე არმიაში. დე გოლი ხაზს უსვამს ამ არმიაში მაღალი კვალიფიკაციის მებრძოლთა შექმნის აუცილებლობას. ეს მებრძოლ-„პროფესიონალები“ ეფექტიურად გამოიყენებენ თანამედროვე ტექნიკის მიერ შექმნილ მექანიზმებს. ამ ახალი პროფესიული არმიის ადამიანი უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდა უნდა იყოს, „რადგან სამხედრო საქმე მოითხოვს როგორც კუნთების, ისე გონების მოქნილობას“.

ეს არმია, დე გოლის აზრით, შექმნილ უნდა იქნეს ნებაყოფლობის პრინციპზე—მის კადრებს უნდა შეადგენდნენ ახალგაზრდა მოხალისეები, რომლებსაც აქვთ ინტერესი და სიყვარული სამხედრო სამსახურისადმი. ასეთი სამსახური უპირველეს ყოვლისა დააკმაყოფილებს თანამედროვე ახალგაზრდობაში არსებულ სიყვარულს სრულქმნილ და რთულ მექანიზმებისადმი.

ვარჯიში პროფესიულ არმიაში მრავალფეროვანებით და სპორტული სულით უნდა იყოს გაჟღენთილი. ყოველმა მებრძოლმა სამხედრო გაწრთვნის შემდეგ უნდა იცოდეს კარგი სროლა რამდენიმე სახის იარაღიდან, გახდეს კარგი მზვერავი, მესანგრე, რადისტი, შეხამების ოსტატი, ავტომანქანის წამყვანი და სხვა. სამხედრო სამსახური ასეთ ჯარში უნდა გრძელდებოდეს არა ნაკლებ 6 წლისა. მხოლოდ ასეთ პირობებში მივიღებთ მაღალი კვალიფიკაციის მებრძოლებს, რომლებიც შესძლებენ ურთულესი სამხედრო ამოცანების შესრულებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დე გოლი მეთაურთა კადრების მომზადებას. ეს მომზადება მიზნად უნდა ისახავდეს პიროვნების განვითარებას „მარტო პროფესიული ცოდნა აზროვნების სიღრმის, სინტეზის უნარისა და მსჯელობის სიმტკიცის გარეშე ფუჭია“. ძლიერი გონება მოითხოვს მრავალმხრივობას, რასაც კაცი ვერ ნახავს ერთი რომელიმე პროფესიის ჩვევების ფარგლებში. ამიტომ სარდლობის ნამდვილ სკოლას წარმოადგენს მხოლოდ საერთო კულტურა. დე გოლის აზრით, „არ ყოფილა არც ერთი განთქმული სარდალი, რომელსაც თავისი სამხედრო ხელოვნებისთვის ბევრი რამ არ ესესხოს კაცობრიობის გონების სალაროდან. ალექსანდრე მაკედონელის ყველა გამარჯვებას ბოლოს და ბოლოს საფუძვლად არისტოტელის ფილოსოფია უდევს“.

მეორე აუცილებელი პირობა კარგი მეთაურის მოსამზადებლად არის მომავალ მეთაურში ინიციატივის განვითარება. „ერთად-ერთი გზა ამის მისაღწევად არის დეცენტრალიზაციის გზა“. ყოველდღიური, სისტემატური ვარჯიშობა და ფართო სწავლა-განათლების მიღება საკმარისია საშუალო მაშტაბის ადამიანისთვის, კაცობრიობის უმეტესი ნაწილისთვის. მაგრამ ვერავითარი მომზადებით და სწავლით ვერ შექმნი განსაკუთრებული ნებისყოფისა და დიდი ხასიათის პიროვნებებს. ესენი თავისით იბადებიან და ყალიბდებიან.

და აი აქ დე გოლი თითქოს იშვიათი ინტუიციით გასჭვრეტს იმ გმირულ გზას, რომელიც მას წილად ხვდა შვიდი წლის შემდეგ: „ამიტომ იმ ტრაგიკულ საათებში, როდესაც ისტორიული ქარიშხალი ანადგურებს ყოველგვარ პირობითობას და ჩვეულებას, მხოლოდ ისინი (დიდი ადამიანები) რჩებიან ფეხზე და ამის გამო საჭირონიც ხდებიან“...

ასეთია, ძუნწი საგაზეთო ინფორმაციისა და მისი საკუთარი ნაწერების მიხედვით სილუეტი გენერალ დე გოლისა, ამ შეუპოვარი რაინდისა, რომელიც იბრძვის ფრანგი ხალხის განთავისუფლებისათვის ფაშიზმის ბრჭყალებისაგან.

---

[1] Шарль де Голль: «Профессиональная армия». Москва. 1935. Госвоениздат.

1) გალების აჩქარებული და მოულოდნელი გადაწყვეტილება.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 41427